№ 101 მაისი 23, შაბათი 1887 მაისი 23, შაბათი № 101

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთი ღირს. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ხებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ა. ხიდდეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და კრიქორიევის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

**გაზეთი „ივერია" პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.**

ტფილისი, 22 მაისი

ერთი უკეთესი და უმდიდრესი სამფლობელო ინგლისისა ინდოეთია. ინგლისმა ეს უშველებელი სივრცით და მკვიდრთა რიცხვით ქვეყანა ისე წამოაყენა ფეხზედ, რომ ყოველივე საჭიროება ინგლისისა, რასაც კი მარტო მიწათ-მოქმედება აკმაყოფილებს, თითქმის ამ ინდოეთიდამ ხელს იმართავს და ამას გარდა თვითონ ინდოეთი კარგს და დიდს ბაზარს წარმოადგენს ინგლისის საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობის საქონლის გასასაღებლად. ამიტომაც ინდოეთი მეტად ძვირფას სამფლობელოდ მიაჩნიათ ინგლისის სახელმწიფო კაცებს და არა ღონეს არა ჰზოგვენ ეს ქვეყანა შეირჩინონ.

ინგლისის მტრებმაც ძალიან კარგად იციან, რომ თუ ინგლისს ევნება რამე, ინდოეთიდამ ევნება. ამიტომაც როგორც მტრები და მეტოქენი ინგლისისა, აგრეთვე თვითონ ინგლისიც ინდოეთს თვალს არ აშორებენ: პირველნი იმას ჰცდილობენ, რომ გზა გაიხსნან ინდოეთისაკენ და მეორენი იმას, რომ გზა არავის დაანებონ. ევროპიის სახელმწიფოთ ორის გზით შეუძლიანთ კარი გაიღონ ინდოეთისაკენ: ერთი გზა ხმელთა შუა ზღვიდამ სუეზის არხით მიდის ინდოეთისაკენ, მეორე შუაგულ აზიის მხრით. სუეზის არხით გზა ეგვიპტეზედ მიდის და შუაგულ აზიითა ავღანისტანზედ. ამიტომაც ინგლისი ეგრე მაგრად ეკიდება ეგვიპტის საქმეს წინააღმდეგ ოსმალეთისა და საფრანგეთისა და ავღანისტანს წინააღმდეგ რუსეთისა, რომელმაც შუაგულ აზიაში მკვიდრად მოიკიდა ფეხი ასე, რომ რუსეთსა და ინდოეთ შუა მარტო ავღანისტანი-ღაა.

დღეს აქამომდე ინგლისის სახელმწიფო კაცნი იმის მეცადინეობაში არიან, რომ ავღანისტანი თავისუფალ ქვეყნად დარჩეს რუსეთსა და ინდოეთ შუა, რადგანაც ამ შემთხვევაში ავღანისტანის გადაუვლახავად ინდოეთს ვერ მისწვდებიან მსურველნი. დღეს აქამომდე მთელი პოლიტიკა ინგლისისა მარტო ამისათვის ირჯებოდა შუა აზიაში და არამც თუ ფულით, კაცითაც-კი არავითარს სხვერპლს არ ერიდებოდა. თუმცა ასეთი იყო პოლიტიკა ინგლისის სამინისტროებისა მას შემდეგ რაკი რუსეთი შუა-აზიაში გაძლიერდა, მაგრამ თვითონ ინგლისის საზოგადოებაში-კი კანტი-კუნტად ხმა ისმოდა, რომ ინგლისი ტყუილ-უბრალოდ იხარჯება ავღანისტანზე. თავისუფალი ავღანისტანი ვერაფერი ზღუდეა ინდოეთისათვისაო; ქვეყანას, ინდოეთსავით დაპყრობილს, საცა ინგლისელნი უცხო თესლს წარმოადგენენ, შიგნიდამ უნდა გამაგრება და ამ შიგნითის ბურჯის და ციხესიმაგრის აგებისათვის მარტო ერთი სახსარია; ეგ სახსარი სიყვარულის მოპოვებაა ინდოელთა შორისაო. ამისათვის საჭიროა, იქაურს ერს ვაგრძნობინოთო, რომ ჩვენ მზადა ვართ ყოველს მის სულიერს და ხორციელს ძალ-ღონეს ხელი მივაშველოთ და იქამდე წინ წავწიოთ იგი ქვეყანა ყოვლისფრით, რომ უჩვენობა უბედუროდ ჩასთვალონო. ხოლო თუ ჩვენ თვითონ მტრებად ვუჩნდით ყოველს იმას, რასაც იქაურნი მკვიდრნი თავის უძვირფასესს საგნად ჰხადიან, მაშინ არც ავღანისტანი გვიშველის და არც რაიმე სხვა სიმაგრეო.

ამ სამართლიანს აზრს ჯერ ფართო გზა არ გაუკაფავს ინგლისში, თუმცა მისი მქადაგებელნი კაცნი დიდ-სახელოვანი იყვნენ ცოდნითა და შორ-მჭვრეტელობითა. ეს კი შესანიშნავია, რომ ამ ბოლოს ხანებში თითქო ცოტად შეტოკდა ამ მხრით პოლიტიკა ინგლისისა შუა-აზიაში. თითო-ოროლა ხმა დღესაც მოისმა ინგლისში წარჩინებულთა მოხელეთა შორის და ამბობენ, რომ დიდი ხნის გამოცდილება თვალ-წინა გვაქვსო და იგი გამოცდილება ცხადად გვესაბუთება, რომ ავღანისტანზედ ტყუილ-უბრალოდ გვეხარჯება აუარებელი ფული, ტყუილ-უბრალოდ ყელზედ თოკს განკებ ვიჭერთო; ისა სჯობია, ავღანისტანი თავის სვე-ბედს მივანებოთ და ჩვენ თვითონ ინდოეთი გარედამ და შიგნიდამ გავიმაგროთო.

ლიბერალთა დასის ინგლისის გაზეთი „Daily News"-ი ამბობს, რომ ინგლისს-რუსეთის კამისია, რომელიც შედგენილი იყო ავღანისტანსა და რუსეთს შუა სამზღვრების დასადებად, ვერაფერს გახდა და თითქმის ლაპარაკი შესწყვიტესო; გარდა ამისა შინაგანი არეულობა ავღანისტანში, მიმართული ეხლანდელ ემირის წინააღმდეგ, ბევრს განსაცდელს მოასწავებს და ეს ორი გარემოება უეჭველია მიზეზს მისცემს ინგლისსა ხელ-ახლად დაიჭიროს ყანდაარიო. ყველამ კარგად იცისო, განაგრძობს იგი გაზეთი, რომ კონსერვატორები, რომელიც ეხლა ინგლისის სამინისტროს განაგებენ, ყანდაარს ჰხადიან ინდოეთის კარად და ამიტომაც უეჭველია ამ საგანზედ სიტყვა ჩამოვარდება პარლამენტში და ეს სიტყვა გავა თუ არა, იმაზე იქნება დამოკიდებული, — რას იტყვის წინანდელი ლიბერალი გარტინგტონი თავისის დასით, ურომლისოდაც სალისბერის სამინისტროს ერთის დღის სიცოცხლეც არა აქვსო.

თვითონ ხსენებული გაზეთი-კი, როგორც ლიბერალთა დასის მოძღვრების გამომთქმელი, დიდს უარზეა ყანდაარის დაპყრობის გამო. 1880 წელსაც ეჭირათ ეს მეორე, ქაბულის შემდეგ, დიდ მნიშვნელობიანი ქალაქი ავღანისტანისა. გაზეთი ამბობს, რომ ინგლისის პოლიტიკას ხელი არა აქვს ინდოეთის გარედ რაიმე ქსელი გააბას და თავი შიგ მოიმწყვდიოსო. ინგლისი მარტო იმას უნდა ჰცდილობდეს, რომ ინდოეთის მკვიდრთა გული მოიგოს, ამისათვის უნ და განაკარგოს იქაური მართველობა, სამართლიანს მოთხოვნილებას იქაურის ერისას ხელი მოუმართოს, კმაყოფილება მიანიჭოს და ინდოეთს გარედ-კი უნდა ერიდოს საქმეების აწეწვას და რაღაც პირობების დადებით თავის ხელფეხის შეკვრასა; კარგად ვამყოფოთ იქაურნი ერნი და ჩვენი სიმაგრე ეს იქმნებაო. ორს უკეთესს გენერალს ინგლისისას ლორდს უელსლეის და დონალდ-სტუარტს ყანდაარის გამო ეს აზრი გამოუთქვამთ: ყანდაარის დაჭერა უფრო მიზეზი იქნება ინგლისის უძლურებისა, ვიდრე გაძლიერებისაო და მაინცა-და-მაინც ხარჯი იმოდენა იქნება, რომ მის მიერ შეძენილი სიკეთე და გამორჩომა მასთან ჩალადაც არ ეღირებაო; ეგ ხარჯი ტყუილ-უბრალოდ დააწვება ინდოეთსა და შეიქმნება მიზეზად იქაურთა მკვიდრთა უკმაყოფილობისა და სამდურავისაო. მესამე გენერალს რობერტს გამოუგზავნია ინგლისის სამინისტროსათვის მოხსენება და სხვათა შორის აუწყებს, რომ უკეთესი ღონე ავღანელების გულის მოსაგებად ის არის, რომ ჩვენ იმათ საქმეში არ გავერიოთო.

ჩვენ ყოველივე ეს იმიტომ მოვიყვანეთ, რომ აგვენიშნა ერთი ახალი მდინარეობა საპოლიტიკო აზრისა ინგლისში. მართალია, დღეს ამ ახალს აზრს ძლიერნი მოპირისპირენი ჰყავნან ინგლისის მთავრობის წევრთა შორის, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ ითქვას, რომ ესეთი მდინარეობა ახალის აზრისა ცოტად თუ ბევრად გაანელებს იმ მხურვალებას, რომლითაც დღეს აქამომდე ინგლისელნი ეკიდებოდნენ შუა-გულ აზიის პოლიტიკასა და მაშასადამე, სიმწვავე ავღანისტანის საქმისა, რომელმაც შარშან და შარშანწინ კინაღამ ომი არ გამოიწვია, ცოტად თუ ბევრად დასცხრება და შიშის მომასწავებელი იმოდენად აღარ იქნება, როგორც აქამდე იყო

## ფელეტონი

### უცხოეთა შორის

მამა-კაცების უსამართლობა.—ცილის-წამება ქალების მიმართ.—ჩვენს აზრს ვინ კითხულობს!—სტუდენტი-ქალი, ვაჟურად ჩაცმული.—ბედმა უმტყუნა!—უსამართლობაა! — ამერიკელი ქალები უფრო ბედნიერნი ყოფილან.—მთელის ქალაქის გამგეობა ქალების ხელში. —ჩვენის ქალების საჩივარი და საყვედური.—ერთი მაგალითი ამერიკის ცხოვრებიდამ.—ქალების ბანკი.—სირინოზის ტკბილის ხმით მოჯადოებულნი ამერიკელი ქალები.—ქალის მოღვაწეობა საქვეყნო ასპარეზზე.

ჩვენ, მამა-კაცები, საზოგადოდ, უზრდელად და უსამართლოდ ვექცევით ქალებსა, აბუჩად აგვიგდია მშვენიერი სქესი და ვინ იცის, რას არ ვამბობთ: ხან ისე შევაქებთ და შევამკობთ, რომ ცამდინ ავიყვანთ და თვით ბრწყინვალე ვარსკვლავებს და ბადრს მთვარეს ვადარებთ, ხან-კი ისე გავუწყრებით, კიცხავთ და დავამდაბლებთ, რომ ჩალის ფასადაც აღარა ჰღირან. რადა? რადა და იმიტომ, რომ ჩვენ, მამა-კაცებს, ასე გვნებავს, ასე მოგვწონს და ყველაფერიც ხელს გვიწყობს, რომ ჩვენს ქეიფსა და ნებაზე მოვიქცეთ. ძალა, უფლება, სწავლა-განათლება ჩვენს ხელშია და აბა სუსტი, ნაზი, უფლებას მოკლებული, უსწავლელი ქალი რას გააწყობს ჩვენთანა?.. დიდი უსამართლობაა, დიდი! არ ვუქებთ მამა-კაცებს ასეთს საქციელს! მაგრამ რას იზამთ, — ქალებს მტერი ძალიან ბევრი ჰყავთ და ჩვენ თავად, ძალიან გულითაც რომ გვსურდეს ქალების მომხრეობა, ვერას გავაწყობთ. მერე იცით, ქალების მტრები რას ამბობენ? ამბობენ, — ქალებს უმაღლესის სწავლის შეთვისება არ შეუძლიანთო; ამას არც იმათი ჭკუის ძალ-ღონე მისწვდება და არც მათი ნაზი აგებულება აიტანსო. ამიტომაც აილეს და ქალებს უმაღლესის განათლების მისაღებად კარი მაგრა ჩაუკეტეს. ამბობენ, — საზოგადო, საქვეყნო ასპარეზი ქალების საქმე არ არისო, აქ ვერც თითონ გააწყობენ რასმე და ტყუილად სხვებსაც ხელს შეუშლიანო; აქაც აილეს და ყველა გზა შეუკრეს. მტრის ენამ გაიმარჯვა! ჩვენ არ მოგვწონს, რომ ქალებს ასეთს ცილსა სწამებენ და ასე უსამართლოდ ექცევიან, მაგრამ რას ვუშველით, ვინა კითხულობს, რა მოგვწონს ჩვენა და რა არა. აი, მაგალითად, ავსტრიის საერო განათლების მინისტრი ერთი ახირებული და ჯიუტი მტერი ყოფილა ქალების უმაღლეს განათლებისა და უნივერსიტეტში არც ერთს ქალს არ ადგმევინებს თურმე ფეხსა. რა ვქნათ, რომ ჩვენ არავინ გაგვიგონებს, თორემ გამოვესარჩლებოდით ქალებსა და დავუმტკიცებდით ავსტრიის მინისტრსა, რომ იმისი აზრი ქალების უმაღლეს განათლების შესახებ უსაფუძვლოა. სხვა რომ არა იყოს-რა, შემდეგი მაგალითია ამის უტყუარი საბუთი.

* * *

ვენაში სცხოვრობს ერთი პროფესორი. პროფესორს ჰყოლია ახალგაზრდა ქალი, რომელსაც კარგი შინაური სწავლა მიუღია. ამ ქალს არ უკმარია ეს სწავლა და მოუწადინია უნივერსიტეტში შესვლა უმაღლეს სწავლის მისაღებად. ბევრს ცდილან ქალიც და მამაც, პროფესორი, უთხოვნიათ მინისტრისათვის, მაგრამ მინისტრი ვერას გზით ვერ დაუყოლიებიათ. მინისტრს ცივი უარი უთქვამს, ქალებს ვერ ვაღირსებ უნივერსიტეტის კედლების ხილვასაო.

— რახან ეგრეა და მაშ კარგიო, — უთქვამს ქალსა, მე თითონ უთქვენოდაც მოვახერხებო. მაინც ჩემსას გავიყვან და უნივერსიტეტში შევალო. მისჯდომია ქალი წიგნებსა, მომზადებულა კარგად, გაუწყვია ყველა საჭირო ქაღალდები, ზოგან ამოუშლია, ზოგან ჩაუმატებია, თავისი ქალური სახელი გადუკეთებია, ჟოზეფინა—იოსებად მოუნათლავს, გადუცვია ვაჟის ტანისამოსი, წასულა უნივერსიტეტში და წარმდგარა თვალთა წინაშე მამა-კაცთასა, ვითარცა მამა-კაცი. ქალი საუცხოოდ აღმოჩენილ მომზადებული და დაუყოვნებლივ სტუდენტად ჩაურიცხავთ. ქალი ერთგულად შეუდგა სწავლას, ლექციებს არ აკლდებოდა. რომ არავის ეჭვი არ აელო და თავის ქალობა არავისთვის შეემჩნევინებინა, სტუდენტი-ქალი ცდილობდა ვაჟებს არაფერში ჩამოჰრჩომოდა. სმაში არ ჩამოუვარდებოდა არავის, ქეიფობდა, დროს ატარებდა სტუდენტებთან ერთად, ხმალში გასვლა ისწავლა, ერთის სიტყვით, საცა-კი სტუდენტები იქნებოდნენ, ისიც არ დააკლდებოდა, ყველგან და ყველაფერში მონაწილე იყო. ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ ეს მოქეიფე, კარგი ამხანაგი სტუდენტი ქალია და არა ვაჟი, რომ ადამის ტანისამოსში ევა იმალებოდა.

გაიარა ასე ორმა წელიწადმა. დადგა მესამე და ბედმაც უმტყუნა საწყალს ქალსა. ერთმა გარემოებამ გასცა ქალი და გამოაშკარავა ამის ვინაობა.

სტუდენტების კრებაზე როგორღაც ერთმა სტუდენტმა ქალებზე ლაპარაკი ჩამოაგდო, ძალიან უკადრისად მოიხსენია ის ქალები, რომელთაც უმაღლესი სწავლა ძლიერ იზიდავს, და ერთი-ორიოდე მაგარი საგინებ-

# ახალი ამბავი

*** მამა-დავითობამ ჩვეულებრივ დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა მთა-წმინდაში, ხუთშაბათს, 21 მაისს. დარიც კარგი იდგა. მთელი მთა-წმინდა და მთა-წმინდის უბანიც დილითვე გაივსო ხალხით. ბევრნი იყვნენ უფრო ქალები. მთა-წმინდის მეიდნის ზემოდ შემოელობნათ კარგა მოზდილი, ცარიელი ალაგი და გაემართათ აქ ქიდაობა. არღნისა და ზურნა-დაფისაგან ყურთა-სმენა აღარ იყო თითქმის. ყველა სახლში სტუმრიანობა იყო გამართული: ისმოდა სიმღერა, გარმონისა და დაირის კვრა. კარგა დაბინდდა, რომ ხალხი ისევ მხიარულობდა და დღესასწაულობდა.

*** ნამდვილად შევიტყეთ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის-გზის მმართველობას განკარგულება მოუხდენია და მიუწერია ყველა რკინის-გზის სადგურის უფროსებისათვის, რომ არსად არავითარი გადასახადი არ გამოერთვათ გაზეთების ხელის-მომწერთ. გადასახადია დაწესებული მხოლოდ წერილებზე და არა გაზეთებზეო.

*** ერთს ახალგაზდა ტეხნოლოგს, სახელდობრ მ. ალიბეგაშვილს, წაუკითხნია პეტერბურგის სატეხნიკო საზოგადოებაში ვრცელი მოხსენება ნავთით გასანათებელს ლამპრებზე. ეს მოხსენება ცალკე წიგნად დაბეჭდილა და ამ ჟამად ტფილისშიაც იქმნა მიღებული.

*** გაზეთს „Новости“-ში დაბეჭდილია ვრცელი მოხსენება თ. ზ. ჯორჯაძისა საქართველოს ღვინოებსა და ღვინის კეთების თაობაზედ. ეს მოხსენება ბ-ნს ჯორჯაძეს წაუკითხავს სოფლის მეამულეთა კრებაზე პეტერბურგში.

*** ამბობენ, რომ სურამის უღელტეხილზე ნავთის-გამყვანის მილის გასაკეთებლად უკვე დაუწყიათ მუშაობაო. პირველს ნავთის გამყვანს მილს აკეთებენ ფირმები ნობელისა, შიბაევისა, როტშილდისა და სხვათაო.

*** ამ რამდენისამე წლის წინად ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკასთან ერთად დაარსდა პატარა საარხეოლოგიო მუზეუმი. ამ მუზეუმში მოგროვდა პირველად რამდენიმე ძველის-ძველი ისტორიული ნივთი და საქართველოს მეფეების დროს მოჭრილი ფული. შემდეგ ნელ-ნელა ემატებოდა ამ მუზეუმს ნივთები. უფრო ბლომად შეგროვდა სხვა-და-სხვა გვარი ფული საქართველოს სხვა-და-სხვა მეფეებისა. სანუმიზმატიკო განყოფილება მუზეუმისა გამდიდრდა ამ ბოლოს დროს უხვის შეწირულობით. მუზეუმს შესწირეს დიდ-ძალი ძველი ფული, ნაპოვნი ივანე ბარტოლომეისაგან სოფელს დიღომში. რიცხვი ამ ფულებისა, რომელიც დღეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ეკუთვნის, არის სულ 474. ამ ფულში 67 არის მეფის გიორგის დროისა, 204—თამარ მეფისა, 170—გიორგი ლაშისა და 33 ადერბეიჯანის სხვა-და-სხვა მაჰმადიან მფლობელთა დროისაა. ბარტოლომეის აზრით, ნაპოვნი ფული ჩაუფლავთ მიწაში ან 1212 წელს და ან 1215 წელსა, ესე იგი ან იმ დროს, როცა გარდაიცვალა თამარ-მეფე და ან გიორგი ლაშის მეფობის პირველს ხანებშიო.

*** რადგან 14 მაისს დანიშნული საზოგადო წლიური კრება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა არ შესდგა, იმის გამო რომ კანონიერი რიცხვი წევრთა არ მოვიდა კრებაზე, ამიტომ ხელ-მეორედ დაინიშნა კრება 24 მაისისათვის. ეს კრება კანონიერ კრებად ჩაირიცხება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. ხვალინდელს კრებას, რომელიც სადგილ-მამულო ბანკის დარბაზშია დანიშნული, დილის 10 საათზე, განსახილველი აქვს და დასამტკიცებელი სხვათა-შორის ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 15 მაისიდამ 1886 წლისა 15 მაისამდე 1887 წ.

საზოგადოების მოქმედების წლიური ანგარიში დაბეჭდილ იქმნა საზოგადოების მიერ წევრთათვის დასარიგებლად.

*** ამ თთვის 26-ს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. ეს კრება იმით იქნება საინტერესო, რომ უნდა აირჩიონ მდივანი და თავ-მჯდომარის ამხანაგი.

*** რამდენსამე სცენისა და მუსიკის მოყვარეთ განუზრახავთ დაარსონ ტფილისში განსაკუთრებული „არტისტების კლუბი“. ამ კლუბის წესდება უკვე შეუმუშავებიათ და გაუგზავნიათ პეტერბურგში დასამტკიცებლად. კლუბი სულ 30 დამფუძნებელის წევრისაგან შესდგება, რომელნიც სულ არტისტები და მემუსიკენი არიან. თითოეულმა დამფუძნებელმა წევრმა პირველ წელიწადში 100 მან. უნდა შეიტანოს. ამ კლუბს ეყოლება სამუდამო დრამატიული დასი და ორკესტრი თავის წევრებისაგან შედგენილი; წარმოდგენებს გაჰმართავენ ფითოევის თეატრში. კლუბის სამუდამო სადგომად, როგორც ამბობენ, არშაკუნისეული სახლი უნდათ დაიქირავონო. ამ ოცდა-ათის დამფუძნებელ წევრთ გარდა სხვა წევრნიც მიიღებიან ამ ოც-და-ათის კაცის ამორჩევით. ამ უკანასკნელ წევრთ წელიწადში 15 მან. უნდა შეიტანონ და არავითარი ხმა არ ექნებათ კლუბის საქმეებში. მთელი კლუბი მხოლოდ ამ 30 კაცის ხელში იქნება. პირველის წლის შემდეგ დამფუძნებელნი წევრნი, როგორც სხვანი, წელიწადში მხოლოდ 15 მან. შეიტანენ.

## შენიშვნა

### ხევის-თავების არჩევანებზედ

დადგა თუ არა გაზაფხული იმერეთში, თითქმის მთელის ქუთაისის მაზრის სოფლები შეუდგნენ ხევის-თავების არჩევნებს. რადგანაც ყოველ არჩევანების დროს თითქმის კანონად არის დადებული მითქმა-მოთქმა, გახმობა ერთი-მეორესი და საზოგადო საქმისთვის გულის ტკივილი, ამისთვის ხევის-თავების არჩევანებზედაც იჩინა თავი ამ საზოგადო ჩვეულებამ. ხევის-თავების წესდება წინადადებას აძლევს საზოგადოებას, რომ კეთილ-სინიდისიანი, პატიოსანი და შეუბღალავნი კაცნი ამოარჩიონ ხევის-თავებად და არა შემწყნარენი რაიმე ბოროტ-მოქმედებასა და ცუდ-კაცობაში; მაგრამ, როგორც თვით მკითხველს მოეხსენება, ხშირად კანონი ქაღალდზედ რჩება კანონად და საქმე-კი სულ სხვაფრივ მიდის. ქუთაისის მაზრას სოფლებიც უმეტესს ნაწილად ზემოხსენებულ გზას დაადგნენ, ე. ი. კანონი არ შეასრულეს და თავის საკუთარს ჭკუაზედ გაიარეს. არჩევანების დროს ერთს საზოგადოებაში იყრიდა თავს მთელი სოფელი როგორც გლეხობა, აგრეთვე თავად-აზნაურობაც და ცხარე კამათობისა, ყვირილისა და ბრძოლის შემდეგ აირჩიეს ხევის-თავებად ორი კეთილ-სინიდისიანი კაცი და ორი-კი შემწყნარე და საეჭვო. ეს თავზედ ხელ-აღებულები შემდეგის მოსაზრებით ამოირჩია საზოგადოებამ: რადგანაც ეს ორნი მარჯვე და მამაცნი არიან და ყველა დამეს-მთეველ რაინდებთან ძრიელ ახლო კავშირი, ამხანაგობა, მეგობრობა და ძმობა აქვთ, ამისთვის, გაიგებენ თუ არა ის რაინდები რომ ჩვენ მათი ასეთი დაახლოვებული კაცები ამოვირჩიეთ ჩვენდა მცველადო, იმედია, პატივსა სცემენ და არას დააკლებენ თავიანთ ჯურის რაინდებსაო. თუმცა შესცდნენ და რასმე წამოუპოტინეს ხელი დამის-მთეველებმაო, მაშინ ჩვენგან ამორჩეულ ხევის თავებად ის ორი მხნე და მარჯვე მათივე მეგობარი ადვილად დაგვიბრუნებენ უკანვე დანაკარგსაო, რადგანაც ქურდების გზა და კვალი იციან და პირ-და-პირ იმათთან მივლენ და უსათუოდ იქ იპოვნიანო და ისინიც, რასაკვირველია, არ დაუჭერენო.

თუ კაცი ბეჯითად არ დაუკვირდა საზოგადოებისაგან გამოთქმულს აზრს, საზოგადოების აზრი მოეჩვენება მართლაც ჭკვიანურ მოსაზრებად და ძალიანებურად წამოიძახებს: კარგია და პატიოსანი საზოგადოების აზრაო! თუ საზოგადოებისაგან გამოთქმული აზრი გამართლდა, სწორედ რომ დიდს სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას და დაუპატიჟებელ სტუმრებისაგან დაცული, დაფარული და თავისუფალი იქნება. თუ არ ჩაუფიქრდა კაცი ამ აზრსა, ეგონება, რომ საზოგადოებას ამ ღონის-ძიებით თავის არა-სანატრელ ყოფა-ქცევას წევრებისათვის საუკეთესო ზნეობრივი გადაკეთება და გასწორება მოუსურვებია და თუ იმედი არ გაუცრუვდა, მართლაც რომ ფრიად სასარგებლო სკოლა მოუგონიაო. თუ ისეთი გავლენა იქონია შემწყნარეებზედ ხევის-თავებად არჩევამ, დიდ კარგია, მაგრამ აქ ერთი მოსაზრება არ ასვენებს კაცს, როდესაც უფრო ბეჯითად დაუკვირდება საზოგადოების აზრსა. აი რა მოსაზრება: „ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო“, ერთი ეს. მეორე: საზოგადოებამ თითო ხევის-თავს ჯამაგირად დაუნიშნა წელიწადში შვიდ თუმნიდგან—ათ თუმნამდის შემდეგის პირობით: ყოველ სოფელში დაკარგული, ე. ი. ცხენი, კამეჩი, ხარი, ძროხა, ცხვარი და აგრეთვე ყველა სხვა დანაკარგი,—ხევის თავებმა უნდა ჰზღონ. ყველასათვის ცხადია, თუ რა ძნელი მოვალეობა ეკისრება ხევის-თავების მოვალეობა და ჯამაგირი-კი ცოტა დაუნიშნავთ. რადგან ჯამაგირი ასე ცოტაა და გარდა ამისა, იქნება სულმა წასძლიოთ წინანდელ რაინდებს, მაშინ ათ-თუმანს თავს შემოივლებენ და ათჯერ მეტს სარგებლობას მოუტანენ თავიანთს თავს. თუ ხევის-თავებს მართლა ძმური და მეგობრული განწყობილება ექმნებათ დამის რაინდებთან, ძრიელ ადვილად შეუძლიანთ, რომ ან თვით მიჰგვარონ ყოველივე სოფლის საუკეთესო საქონელი და ან თვით სამწყემსოში მოიწვიონ თავისუფლად და გზები უჩვენონ და აუხსნან, როგორ უნდა იავკაცონ. ნუ თუ თვალ-ხუჭვიას უნდა თამაშობდეს საზოგადოება და „სათუოდ“ უნდა იხდიდეს საქმეს?! მე ვისურვებ ჩემის მხრივ, რომ ამ თავითვე დაუკვირდეს საზოგადოება ამ საქმეს და შემდეგ ვაი-ვაგლახისა და თავში ცემის მაგიერ ახლავე სწორ გზას დაადგეს. კარგია, რომ მგლებიც მაძღარნი იყვნენ და ცხვრებიც დაცულნი, როგორც რუსები იტყვიან, მაგრამ ეს ერთად ძნელი მოსათავსებელია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. თელეთი, 14 მაისს. მაისის 14-ს იყო დღეობა თელეთის წმინდის გიორგის ეკკლესიისა. ეს წმინდა გიორგის ეკკლესია თუმცა სომხებისაა, მაინც მრავალი ქართველებიც მოდიან აქ სალოცავად, თუ ქართლიდამ და თუ კახეთიდამ. სომხობა დიდ-ძალი იკრიბება ბორჩალოს მხრიდამ. წინა დღეს, ცუდის ამინდის გამო, ბევრმა მლოცავმა ვერ მოიყარა თავი, მაგრამ გათენდა თუ არა დილა, მრავალი მლოცავი მოვიდა რიგი, ურმით, რიგი ეტლებით და რიგი ცხენებით. უმრავლესობა ფეხით მოვიდნენ ახლო-მახლო სოფლებიდგან და თვით ტფილისიდგანაც. მოხუცებულები ამბობდნენ, რომ არა წელიწადს არ ყოფილა ამდენი მლოცავიო. თელეთობას ყოველთვის დიდი უსიამოვნობა

ლი სიტყვაც უთავაზა ამისთანა ქალებს. ამ ლაპარაკზე სტუდენტი-ქალიც დაესწრო. ასეთი შეურაცხყოფა ვერ მოითმინა ქალმა, აენთო, გული მოუვიდა და გულ-მოსულმა შეჰყვირა სტუდენტსა:

— სტყუით! მე დაგიმტკიცებთ, რომ ის მამა-კაცი, რომელიც ასე უკადრისად და წინ-დაუხედავად ჰლანძღავს სწავლის სურვილით გატაცებულს ქალებსა, ღირსი არ არის, პატიოსანის კაცის სახელი ატაროს.

ამაზე შეჰყვნენ ერთმანეთსა და საქმე იქამდინ მივიდა, რომ ერთმანეთი ხმალში გამოითხოვეს. აკი ქალი დაიჭრა. დაჭრისათანავე ქალს გული წაუვიდა და ესე გულ-წასული წაიყვანეს სამკურნალოში. გაჰხადეს საჩქაროდ ტანისამოსი... და მხოლოდ მაშინ აღმოჩნდა, ვინ იყო ეს სტუდენტი, რომელსაც ასე გული ატკინა ქალების ავად-ხსენებამა.

საწყალი ქალი მაშინვე დაითხოვეს უნივერსიტეტიდამ. ესეც არ აკმარეს,—იმის მოწმობასაც არ აძლევენ, რომ ორი წელიწადი უსწავლია უნივერსიტეტში.

ეს-კი არაფერსა ჰგავს! ახირებულია, თქვენმა მზემ! თუ ჟოზეფინა—იოსებად გადინათლა, თალიკო—თევდორედ გადიქცა, თამარმა — თომას ტყავი წამოისხა, ხომ კარგი,—სტუდენტობასაც იზამს და უნივერსიტეტში სწავლასაც შესძლებს; თუ როგორმე გამომჟღავნდა, რომ თომა მართლა თომა-კი არა, თალიკო ყოფილა, მაშინვე გამოსდევნიან, თითქოს თომას ტყავი უცბად მგლის ტყავად გადიქცაო.

***

ამერიკელი ქალები უფრო ბედნიერები ყოფილან ავსტრიელ ქალებზე. აი ავსტრიაში, ბატონებო, ქალებს იმის ნებასაც არ აძლევენ, რომ უმაღლესი განათლება მიიღონ, თორემ იმას ვიღა იჩივლებს, რომ საზოგადო საქმეს ახლო არ აკარებენ, და ამერიკაში-კი მთელის ქალაქის გამგეობა ქალებს ჩაუგდიათ ხელში. ხუმრობა არ გეგონოთ.

ჩრდილოეთ-ამერიკაში, ტეხასის შტატში, არის ერთი პატარა ქალაქი, სახელად სტოქტონი. ამერიკაში ხომ, როგორც მოგეხსენებათ, ყველაფერში თავისუფლებაა და, რასაკვირველია, ყველა ქალაქს თავისი საკუთარი თვით-მართველობა აქვს. აი ამ პატარა ქალაქს სტოქტონსაც „ჰმართავდნენ“ მოქალაქენი—მამა-კაცნი: დიდხანს ჰმართეს, აწყეს, აქედ წაიღეს, იქით წაიღეს ქალაქის საქმეები, მაგრამ მაინც ვერა მოაწყეს-რა. დედაკაცნი-კი ამ დროს ისხდნენ შინ, ხმას არ იღებდნენ, ქალაქის საქმეებში არ ერეოდნენ და მხოლოდ უზდიდნენ ქალაქს სამერმისოდ გამგებლებს და მმართველებს. ასე უყურეს ერთს ხანს, ითმინეს და ბოლოს, რა ნახეს მამაკაც-გამგებლების ბეჯიშობა და უხეირობა, ვეღარ მოითმინეს, და ასეთის სიტყვით მიჰმართეს:

— თქვენ მამაკაცები-კი არა, დედაკაცები ჰყოფილხართ; ქუდი-კი არა, ლეჩაქი უნდა გეხუროთ თავზედა. რახან ღმერთს თქვენთვის უნარი არ მოუცია, მაშ წადით, დასხედით შინა, სახლზე თვალ-ყური იქონიეთ, შვილებს მოუარეთ, თქვენი ადგილი ჩვენ დაგვითმეთ, ქალაქის გამგეობა ჩვენ ჩაგვაბარეთ და გაჩვენებთ, როგორ უნდა ქალაქის მოვლაო.

შერცხვათ მამაკაცებს, მაგრამ მეტი ღონე არ იყო,—თითონ კერას მოუსხდნენ და გადიაობა დაიწყეს, ქალაქის საქმეები კი მანდილოსნებს ჩააბარეს. დასხდნენ მანდილოსნები საბჭოში, შეუდგნენ საქმესა და ისე მოჩარხეს, რომ მთელი ქალაქი მადლობელი დარჩა. შემდეგ არჩევანებშიაც სულ ქალები მოჰყვნენ საბჭოს წევრად, ასე რომ ეხლა მთელი სტოქტონი ქალებს ხელშია. ქალები გაცხარებულად ბაასობენ, მჭევრ-მეტყველობენ, საზოგადო საქმეებს არჩევენ თურმე და უფრო საკვირველი ის არის, რომ ერთმანეთს არ ჰკილავჰკიცხავენ და არ ჰორიკანაობენ.

ამ ხანობით ამ ქალებისაგან შემდგარ საბჭოს დიდი და ძნელი საქმე აქვს თურმე გარდასაწყვეტად. ქალაქს თურმე მილებით წყალი არა აქვს გამოყვანილი და ეხლა საბჭოს უკისრნია ეს საქმე. სამწუხაროდ, ჯერ არა ვიცით-რა, როგორ მოაწყეს წყლის გამოყვანის საქმე და იმედი კი გვაქვს, რომ ამერიკის მანდილოსნები თავს არ შეირცხვენენ და ჩვენის ქალაქის საბჭოს ორატორებივით წყლის ნაყვას არ დაიწყებენ.

***

ჩვენის ქალებისაგან ხშირად გაგვიგონია ასეთი საჩივარი და სამდურავი: სულ თქვენი, მამაკაცების, ბრალია, რომ ჩვენ, ქალები, ესე უსაქმოდ, უსარგებლოდ საქვეყნო საქმისათვის ვატარებთ ჩვენ სიცოცხლესაო. თქვენ ხელს არ გვაძლევთ, რომ უღელი ერთად გავწიოთ, პირ-იქით, ცხოვრების გზაზე წინ გვეღობებით და განგებ ხელს გვიშლით; გზას გვიკრავთ, ქვეყანაში ფეხს არ გვადგმევინებთ და თქვენვე გვიწყრებით კიდეც, რომ ენას ჯარასავით ვატრიალებთ მეზობლის გასაკიცხავად. მაშ რა ვქნათ, სხვა რა საქმე გავიჩინოთ. მოგვეცით ჩვენც ღონისძიება, საქვეყნო საქმეს კალოში ჩავუდგეთ და მაშინ ჰნახავთ, რომ დედაკაცს უფრო უანგაროდ, პატიოსნად და თავ-განწირულად შეუძლიან გარჯა, ვიდრე მამაკაცს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ხოლმე. ისე არ იქნებოდა, რომ ქურდობა, ავაზაკობა, ჯიბგირობა და სხვა ავ-კაცობა და თავ-პირის მტვრევა არა ყოფილიყო. მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად წელს მაზრის უფროსის განკარგულებით იყვნენ დანიშნულნი პოლიციის მოხელენი, რამდენისამე ურიადნიკითა და ჩაფრებით. ეს მოხელენი და ჩაფრები დილიდამ მოკიდებული საღამომდინ ფეხზედ ტრიალობდნენ ხალხში და, სადაც პატარა ჩხუბი მოხდებოდა, აშვიდებდნენ და აშოშმინებდნენ მოჩხუბართა.

ამას გარდა წელს მშვიდობიანად ჩაიარა თელეთობამ იმიტომაც, რომ ჭიდაობა ვერ მოხდა; ჭიდაობას წვიმამ დაუშალა.

აქ ჩვეულებად აქვთ მლოცავებსა, შუა-დღის შემდეგ მოგროვდებოდნენ ხოლმე იმ გორაზედ, რომელსაც ეძახიან ჭიდაობის გორას, ორ-პირად დადგებოდნენ: ერთს მხარეს კახელები და მეორე მხარეს აქაურები და რიგ-რიგად აჭიდავებდნენ ხოლმე თავ-თავიანთ ფალავნებს. ეს ჭიდილი ისე არ ჩაივლიდა, რომ ბოლოს ჩხუბით არ გათავებულიყო და ოცი-ორმოცი კაცი თავ-პირ დამტვრეული არ დაბრუნებულიყო თავის სახლში, მაგრამ წელს-კი, შეიქნა ის დრო თუ არა და იმ საჭიდაო გორაზედ მოგროვდა კიდეც ცოტაოდენი ხალხი, წვიმამ დაუშვა და დაჰფანტა აქედ-იქით. კახელების მხრიდამ ისმოდა კიდეც ხმა, გრდანელი გამოიყვანეთ, თორემ ჩვენს ფალავანს სხვასთან ვერ დავჭიდებთო; აი სწორედ ამ დროს წამოვიდა შხაპუნა წვიმა, ადგა ქარი და საღამომდინ ასე სწვიმდა.

თელეთის წმ. გიორგის ეკკლესიის მახლობლად ერთი სხვა პატარა ეკკლესიაა, რომელსაც ღვთის-მშობლის ეკკლესიას ეძახიან: დილით-საღამომდინ ბუზებივით ეხვეოდნენ ამ პატარა ეკკლესიას ქალები და კაცები და კენჭებით ავსებდნენ კედლებსა. ამ ხალხს სჯერა თურმე, რომ ვისი კენჭიც მიეკვრება კედელს, ის მადლიანიაო და ყველას უნდოდა გაეგო, აბა, მადლიანი ვარ თუ არაო.

დამსწრე

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რა მნიშვნელობა აქვს სამინისტროს გამოცვლას საფრანგეთში? რად აწუხებს, რად აღელვებს ასე ძრიელ ეს ამბავი არამც თუ მარტო საფრანგეთს, არამედ ბევრს სხვა სახელმწიფოსაც? გაზ. „С.-Петербургскія Вѣдомости“ ასე ჰხსნის ამ გარემოებას:

ჩვენ მაშინვე, როცა ჯერ მარტო ლაპარაკი იყო მინისტრების გამოცვლაზე, გამბობდით, რომ აქ მარტო იმაში კი არ არის საქმე, მინისტრად ვინ იქნება; არა, გაცხარებულის ბაასისა და აღელვების მიზეზი სულ სხვა იყო. ამ საქმეში გარეულნი იყვნენ არა მარტო მოპირისპირე დასები, რომელნიც პოლიტიკაში სხვა-და-სხვა მიმართულებას ადგანან, არა აქ უცხო ქვეყნიდამ მუშაობდა ვიღასიც ხელი, რომელსაც ჰსურდა, გენერალი ბულანჟე გზიდამ მოეშორებინა და უფრო თავის საკბილო მინისტრები დაეყენებინა საფრანგეთის მოთავედ. „ბულანჟე და რუსეთი, ფერრი და გერმანია!“—აი რა გასაჭირი საქმე ჰქონდა საფრანგეთს გადასაწყვეტად.

მართალია, საფრანგეთი არც ერთს გზას არ გაუდგა პირდაპირ, წინდაუხედავად და არც მეორეს და ისევ შუა გზაზე გავლა ირჩია, მაგრამ პოლიტიკის სასწორი რომ ერთის მხრითგან გადიხარა და მეორესკენ გადიწია, ამაში კი ეჭვი არ არის.

* * *

ერთს ვიღაც განათლებულს კაცს ქალაქში ცხოვრება მოჰბეზრებია და აი „ჯოჯოხეთ-ქალაქისთვის“ თავი დაუნებებია და „სამოთხე-სოფელში“ გადასახლებულა. ბედზე სოფელში მამულიც ჰქონია და აი შესდგომია მიწის მუშაობას. უმუშავნია ესე შვიდი წელიწადი და ბოლოს ამ „სამოთხე-სოფლისთვის“ თავი დაუნებებია და ისევ „ჯოჯოხეთ-ქალაქში“ გამოქცეულა. რაო, რაზედ გასწყრომია ამ ნაქებ „სამოთხე-სოფელს“? ძნელი მისახდომი არ არის: მამული ბანკში დაუგირავებია და დაგირავებულ მამულის იმედზე თუ კაცი დადგა, კუჭს ვერ გაიძღობს. ასე მოსვლია ამ ჩვენ განათლებულს სოფლის-მოყვარესაც და ამიტომ საადგილ-მამულო ბანკზე ძრიელ განრისხებულა. გაჯავრებულს მთელი წერილი გაუჩრელებია გაზ. «Русск Вѣд.»-ში, სადაც სხვათა შორის აი რას ამბობს:

განა შესაძლოა კაცმა 7½ სარგებელი გადიხადოს თავზე, რომელიც თითქმის ედრება ნახევარ ფასს იმისას, რაც მთელი მამული ღირს, და ამასთან მამული-კი 3—4% მეტს არ იძლევა? რაც უნდა ხელ-მოჭირილად იცხოვრო, რაც უნდა ხარჯი შეამოკლო, მაინც ვერას გაჰხდები, რადგან თითქმის სულ ბანკს აძლევ, რასაც მამულიდგან იღებ. თუ მაშინაც, როცა პურს კარგი ფასი ჰქონდა, მამულის პატრონს უჭირდებოდა ბანკში სარგებლის შეტანა, რაღა უნდა ქნას ეხლა, როცა პურის ფასი თითქმის ერთი-სამად ძირს ჩამოვარდა?

ასეთი საჩივარი ახალი გაგონება არ არის, სხვა დროსაც ბევრჯელ გვსმენია და, შეიძლება, საფუძვლიანიც იყოს. მხოლოდ ერთი ეს კი ვერ გაგვიგია, ბანკი აქ რა შუაშია. ბატონებო, თქვენ ფული გიჭირთ, ბანკს ფული აქვს და ხელს გიმართავთ. არ გაძლევთ ხელსა ბანკიდგან ფულის აღება, ნუ აიღებთ,—ბანკი ხომ არ გტაცებთ მამულსა, ძალად ხომ არ გათრევთ და არ გეუბნებათ: მოდი და უთუოდ დააგირავე შენი მამულიო! ეს ერთი. მეორე, თუ ფულის აღება იცით და მამულის მოვლა-კი არა, აქაც ვისი რა ბრალია. თუ მამულიდგან 3—4 % მეტი ვერ აგიღიათ, აქ ბანკს რას ემდურით, ბანკი ხომ გადია არ არის, რომ უკანა გდიოთ და გასწავლოთ, არა მამულს ასე უნდა მოუაროთ, თუ ფულის მოგება გინდათ, არა ასეო.

რაც შეეხება იმას, რომ მიწის მოსავალს ამ ბოლოს დროს ბაზარი და ფასი არა აქვსო,—ეს ისეთი საერთო უბედურობაა, რომ არამც თუ საადგილ-მამულო ბანკს, ხშირად მთელის ერის ძალ-ღონესაც ვერ გაუწყვია და წამალი ვერ დაუდვია.

# უცხოეთი

**გერმანია.** მეტადგან აუწყებენ გაზ. „Temps“-ს, რომ გერმანიის მთავრობა დიდ-ძალ სიმაგრეთ აგებს და რაც შეუძლიან, ჩქარობს ამ სიმაგრეთა აგებასაო. გერმანიის ოფიციოზური გაზეთები ურჩევენ საფრანგეთს, რომ ისეთი სამინისტრო ამოირჩიე, რომელიც ფეხს უფრთხილდებოდეს და ტყუილად არ იხარჯებოდეს სხვა-და-სხვა სიმაგრეებზე და სამხედრო მოწყობაზეო და ამავე დროს-კი თითონ იმ აზრისაა, რომ ომი აუცილებელია და ამიტომ გაცხარებული ემზადება. ამასთან გერმანია არა ჰფარავს თავის საომრად მზადებას და ყველანიც აშკარად ჰხედავენო.

— ბელფორიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Indépendance Belge“-ს, რომ გერმანიის ჟანდარმებმა დააპატიმრეს მონტრე-ვიოში ორი ფრანგი, რომელნიც აღმოსავლეთ რკინის გზაზე მსახურობდნენ, რეინპოლდი და შმიდტი. დაპატიმრების მიზეზი ის არის, რომ ამ ფრანგებს ბრალი ედებათ, ვითომ ამოუგლეჯიათ გერმანიის სასამზღვრო ნიშანიო.

**საფრანგეთი.** ამას წინად პარიჟის თეატრს „Opéra Comique“-ს ცეცხლი მოეკიდა. დამწვარი გატყდა და იმან გააჩინა ცეცხლი. ცეცხლის გაჩენის დროს ოპერა «მინიონის» პირველს მოქმედებასა ჰთამაშობდნენ თურმე სცენაზედ. ცეცხლის გაჩენისათანავე ფარდა ჩამოუშვეს; არტისტი ტაიკენი გამოვიდა და გამოაცხადა, რომ თეატრში ცოტაოდე ცეცხლი გაჩნდა და ამიტომ წარმოდგენას ვეღარ განვაგრძობთო. საზოგადოებამ ჯერ წესიერად დამშვიდებით დაიწყო თეატრის დაცალიერება, მაგრამ როდესაც არტისტი-ქალები დაფრთხნენ ცეცხლის გამო და სცენიდგან ორკესტრში გადმოუშვნენ, მაშინ-კი ძალიან აირია ხალხი. პარტერსა და გალლერეაში ხალხმა საშინლად დაიწყო მიწოლ-მოწოლა. ბევრი ზემოდ ავიდნენ, რომ ხალხმა არ გაგვიტანოს ფეხითაო, და იქ ბოლში ამოირჩნენ თურმე. თეატრის „გაშველდინერებმა“ სულ გადაირივნენ, ისე შეეშინდათ, და შიშით ყველა გაზები ჩააქრეს თეატრის დერეფანში და ამ სიბნელის გამო უფრო აირ-დაირია ხალხი. ჯერ დაღუპულთა რიცხვი ნამდვილად არ იციან. გაზ. „Pri du peuple“ დაბეჯითებით ამბობს, რომ დაღუპულთა რიცხვი 200 კაცამდე იქნებაო. ლოჟებში მყოფი საზოგადოება ადვილად გამოკრეფილა თეატრიდგან, მხოლოდ ერთს ლოჟაში რვა დამრჩვალი ქალი და კაცი უპოვნიათ; მეორე ალაგას უპოვნიათ კიდევ თხუთმეტის მოცეკვავე ქალის გვამი. მათ შორის ყოფილან ქ-ნი ტურტუა, ჟილე, ფერრი და გერმონი. ვენის ბანკირის დესსაუერის ცოლიც ცეცხლს უმსხვერპლნია. კიდევ 100 კაცი არა ჩანს თურმე ნაპოვნ დაღუპულთა გარდა. ცეცხლის მქრობელა რაზმი დილით-საღამომდინ მუშაობს და თეატრის ნანგრევებში დაღუპულთა გვამებს ეძებსო.

**ოსმალეთი.** ამას წინად ოსმალეთმა დიდთა სახელმწიფოთ ცირკულიარი დაურიგა და სთხოვა, რომ დაასრულეთ როგორმე ბოლგარიის საქმე, თორემ შეიძლება ამ საქმის გამო საერთო ომი და ბრძოლა ასტყდეს ევროპაშიო. ზოგიერთი დიდ სახელმწიფოთ უკვე გამოუცხადებიათ, რომ დიდის სიამოვნებით ვეცდებით და ყოველსავე შესაძლებელს ღონის-ძიებასაც მივიღებთ ამ გამწვავებულის საქმის გადასაწყვეტად და დასაბოლოვებლადაო.

— ხანიადგან დეპეშით აუწყებენ ვენის გაზეთებს, რომ კუნძულ კრიტზე უკმაყოფილოთა რიცხვი უფრო-და-უფრო მატულობს მას შემდეგ, რაც სულთანმა ბრძანება გასცა ქრისტიან დეპუტატებით, რომ უეჭველად უნდა დაესწროთ და მონაწილეობა მიიღოთ საერო კრებაშიო; წინადმდეგს შემთხვევაში ოსმალეთი იმუქრებოდა, რომ მაშიანობის წესებს გამოვაცხადებო. ამ მუქარამ უფრო გააბრაზა თურმე ქრისტიანე დეპუტატები, რომელთაც გამოაცხადეს, რომ ხალხში ამბოხებასა და არეულობას ჩამოვაგდებთ, ყველას იარაღით ხელში ფეხზე წამოვაყენებთ, თუ ოსმალეთის მთავრობა უკანონოდ მოიქცევა და იმოქმედებსო. ამავე საქმეზედ გაზ. „Matin“-ს აუწყებენ, რომ საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოუცხადა საბერძნეთის სადიპლომატო აგენტებს დიდს სახელმწიფოებში, რომ არეულობა კრიტისა ოსმალეთის მოქმედების მიზეზით იქმნა გამოწვეულიო. გაზ. „Новости“-ს ერთი კორრესპონდენტი დეპეშით ატყობინებს ამ გაზეთს, რომ ოსმალეთმა თავისი მუქარა აღასრულა და კუნძულს კრიტზედ მაშიანობის წესნი გამოაცხადაო.

**ავღანისტანი.** ავღანისტანიდგან მოსულის ამბების გამო უფრო-და-უფრო შფოთავს ინგლისი. როგორც ამბობენ, ბადახშანის ჯარის უფროსს, აზუდ-ხანს,

---

მართალნი არიან ჩვენი ქალები თუ არა? რა მოგახსენოთ, გულთ-მისნობას მე არ ვჩემულობ და წინადვე თქმა-კი იმისი, რისაგან რა გამოვა, ცოტა ძნელი გახლავთ. და აი, თუ გნებავთ-კი, ერთს ამბავს მოგითხრობთ იმავე ამერიკის ცხოვრებიდგან.

ამერიკის ქალაქს ბოსტონში იყო ქალი ვინმე, სახელად სარა გოუ. გოუ იჯდა დიდხანს, ფრთა შეკვეცილ ჩიტსავით, გალიაში და ქვეყნისა არა ესმოდა-რა. ბოლოს მიიხედ-მოიხედა, დაუფიქრდა ცხოვრებას და სთქვა თავის გულში: რას დავმწყვდეულვარ შინ ამ ოთხს კედელ-შუა, მოდი გავშლი მეც ფრთებსა და უფრო მეტს მოედანს მოვიქარგლავ ქვეყანაში, ვიდრე ეს ჩემი სახლია. აგერ მამაკაცები! ბანკებიც იმათ ჩაუგდიათ ხელში, რკინის გზებიც, იგებენ დიდს ფულსა და ცხოვრობენ თავიანთვის ბატონებსავით. ჩვენ, ქალებს, რაღა დაგვემართა, რითი ვარ, მაგალითად, მე მამაკაცზე ნაკლები? ჭკუითა თუ? არა, დავუმტკიცებ ყველას, რომ ბანკის გამართვა და ფულების ტრიალი მეც შემიძლიან. სთქვა და შეუდგა გოუ საქმესა.

გოუმ მაინც მამაკაცებს ვერ შეჰბედა და ისევ თავის მოძმე-ქალებს მიჰმართა. გოუმ გააჭრელა გრძელი, პირ-წყლიანი წერილი და ქალებს ასეთს ქადაგებას უკითხავდა.

— რას ჩამოსცივებიხართ კაცებს. რით ვერ მიჰხვდით, რომ იმათ თქვენთვის სიკეთე არა ჰსურთ, მამაკაცს ისე როგორ შესტკივა გული თქვენთვის, როგორც თქვენს ძობილს—დედაკაცსა. ჩვენ ყველანი ხომ ერთს ტაფაში ვიწვით... განა საკმაო არ არის, რაც კაცებმა თქვენ ფული დაგცინცლეს და დაგტყუეს. თქვენ კიდევ მაინც თქვენსას არ იშლით, მიდიხართ და მაინც იმათ მიაბარებთ ხოლმე ფულებსა, თქვენს ბანკში შეგვინახეთო. ისინიც ერთ-ორს წელიწადს-კი შეინახვენ, მერე-კი ჩაიდებენ ჯიბეში— და წადით, უკან მისდიეთ... დროა ჩვენს თავს ჩვენ თითონვე მოვუაროთ. აი მე განვიზრახე ბანკის გამართვა. ეს ბანკი მარტო ქალებისაგან მიიღებს ფულებს შესანახად და სარგებლით გასაცემად. ბანკი საკუთრად „ქალების ბანკი“ იქნება, საქმეების მართვა, გამგეობა სულ ქალების ხელში იქნება. მერწმუნეთ, რომ ეს ბანკი, თქვენთვის გულ-შემატკივარ ქალების ხელში უფრო სანდო და საიმედო იქნება, ვიდრე კაცების ბანკი.

ამიტომ, ვისაც ერთი-ორი გროში გადაგირჩენიათ, შენახვა გინდათ და სარგებლის მიღებაც, ნუ დაიგვიანებთ და შემოიტანეთ ჩემს ბანკში. წელიწადში ასზე რვა მანეთს სარგებელს მიიღებთ და გარდა ამისა სამის თვის სარგებელი წინადვე მოგეცემათ.

გოუს თილისმიანმა ენამ გასჭრა. სირინოზის ტკბილმა სიმღერამ მოჰხიბლა და მოატყუა ამერიკის გამოცდილი ქალები. ბადე ოსტატურად იყო ნასროლი და ათას ხუთასზე მეტი ქალი და დედაკაცი გაება ამ ბადეში. სარა გოუმ ამ გზით 600 ათას მანეთამდე ფული შეკრიბა. 1878 წელს ბანკი დაარსდა და 1880 წელში, ე. ი. ორის წლის შემდეგ კიდეც განსვენებას მიეცა. აქედ მიაწყდნენ, იქით მიაწყდნენ ფულის პატრონები, ბევრი ეძებეს სარა გოუ, მაგრამ გოუს ხსენებაც აღარსად იყო ქალაქში. გოუს ერთი მეგობარი ეშოვნა,—მეგობარი, რასაკვირველია, მამაკაცი იყო და არა ქალი,—და შორს სადღაც წასულიყო მეგობრითურთ.

ჭკვიანი ყოფილა სარა გოუ და კარგადაც მოუფიქრნია. აბა მეგობართან განცხრომილი ცხოვრება არა სჯობდა ბუხჰალტერიის წიგნებში თვალების გაწყალებასა და ბანკის საქმეებში თავის მტვრევასა?!

როგორც იყო, სარა გოუ იპოვეს და სამართალში მისცეს. სასამართლომაც სამის წლით ციხეში ჩასმა გადუწყვიტა. გამოვიდა თუ არა გოუ ციხიდგან, ისევ ძველ საქმეს შეუდგა, კიდევ ბანკი გამართა. ახლა, რასაკვირველია, სხვა ადგილას გააბა ქსელი და ბევრი ბუზიც დაიჭირა. აქაც დრო იგდო ხელთა და ერთს დღეს უგზოდ გაჰქრა. ქსელში გაბმული ბუზები დღესაც ბზუიან თურმე, მაგრამ ობობა-გოუ ისე მაგრად მიმალულა, რომ ჯერ კვალიც ვერ მიუგნიათ.

ესეც ქალის მოქმედება საქვეყნო ასპარეზზე, ესეც ის უფლება, რომელსაც ქალები ასე ნატრულობენ! მართალია, ერთი მაგალითი ვერც დაამტკიცებს და ვერც დაარღვევს რომელსამე აზრსა, მაგრამ... მაგრამ მე გიჩვენეთ მზიან-ჩრდილიანი სურათი ქალების მოქმედებისა, მოღვაწეობისა საქვეყნო ასპარეზზე, დანარჩენი თქვენ თითონ განსაჯეთ, მკითხველო. ბევრნი ამბობენ, ქალებსაც რომ ისეთივე უფლება მიენიჭოთ, როგორიც კაცებსა აქვთ, ქალებმაც რომ კაცებსავით ქუდი დაიხურონ, კაცობრიობა გაბედნიერდებაო. მართალია თუ არა ეს აზრი, ესეც თქვენ განსაჯეთ, მკითხველო. ჩვენ-კი გვეშინიან, რომ ჩვენი, ესრედ-წოდებული „სწავლული ქალები“ არ გაგვიწყრნენ, და ამიტომ პირ-და-პირ პასუხს ვერ ვიძლევით, ვერც „ჰოს“ ვამბობთ და ვერც „არასა“ და ამაზედ ნურას უკაცრავოდ.

დონ-იაგო

განზრახვა აქვს, ბადახშანი თავის სურვილის თანახმად რუსეთს დაუთმოსო. ამბობენ აგრეთვე, რომ მავახანსა და შიგნაცში დიდი გავლენა მოიპოვა რუსეთმაო. ბომბეიდგან მოსული დეპეშა ამბობს, რომ მეამბოხეთ ატაგარის სიმაღლენი დაიჭირესო.

ეგვიპტე. ქაიროდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Times“-ს, რომ მას შემდეგ, რაც სმა გავრცელდა ოსმალეთი და ინგლისი მორიგდნენ ეგვიპტის საქმის გამოვო, ეგვიპტეში დღე-დღეზედ მოელიან, რომ ინგლისი თავის ჯარებს მაიყვანს ამ ქვეყნიდგან და მხოლოდ ალექსანდრიაში-ღა დარჩება ცოტაოდე ჯარი ინგლისისაო. ქაირელი კორრესპონდენტი ლონდონის ერთის გაზეთისა თავის მხრივ იმას უმატებს ამ ამბავს, რომ თუ მართლა ინგლისს გადაწყვეტილი აქვს და ჯარებს გაიყვანს ამ ქვეყნიდგან, ეგვიპტის საქმე ძალიან გაძნელდება, რადგან შეიძლება საფრანგეთმა ისარგებლოს საქმის ამ გზაზე დაყენებით და მოინდომოს ნილოსის ხეობაზე თავისის უწინდელის გავლენის აღდგენაო.

## ანგარიში ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის და პანსიონის მდგომარეობისა 1886 წლის აპრილიდგან 1887 წლის 1-ლ მაისამდის.

ამ წელიწადშიაც იმავე პროგრამმით სწარმოებდა სწავლა, რომლითაც წარსულ წელში ხელმძღვანელობდნენ. მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში იწყება ქართული ენის სწავლება. საგნების სწავლებაც ქართულ ენაზედ არის პირველს სამს განყოფილებაში, მაგრამ რუსულს ენას თავიდამვე ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული. ამ ენას ეჩვევიან თან-და-თან პირველ განყოფილებიდგან მოკიდებული და როცა მეოთხე განყოფილებაში გადადიან ყმაწვილები, იმ ზომამდის იციან რუსული ენა, რომ ამ განყოფილებაში სწავლება რუსულს ენაზედ იწყება. პროგიმნაზიის კლასებშიაც რუსულს ენაზედაა სწავლება და იმავე პროგრამმებით, როგორც სახელმწიფო გიმნაზიებშია შემოღებული, გარდა ბერძნულის ენისა, რომელიც ჩვენს სასწავლებელში ერთის წლით უფრო გვიან იწყება.

მასწავლებლები ბეჯითად ეკიდებოდნენ საქმეს და გარეშე დადგენილის საათებისა კისრულობდნენ ისეთს შრომასაც, რომელიც ფორმალურად სავალდებულო არ იყო მათთვის, მაგრამ სწავლა-აღზრდის კეთილად წარმართვისათვის მიუცილებლად საჭიროა, მაგალითად, თანამდებობა კლასის დამრიგებელისა და თვალ-ყურის ჭერა იმ მოსწავლეებზედ, რომელთაც სტოვებენ ხოლმე მეექვსე გაკვეთილისათვის, რომ იხმარონ იმათ გასასწორებლად სხვა-და-სხვა საჭირო ზომები. ამ გვარის შრომისათვის სახელმწიფო პროგიმნაზიებში და გიმნაზიებში დანიშნულია განსაკუთრებული ფასი და ჩვენს მასწავლებლებს, რომელნიც კაი ხანია ასრულებენ ამ თანამდებობას, ჯერ არავითარი ჯილდო არ მისცემიათ იმ მიზეზისა გამო, რომ საშუალება ნებას არ გვაძლევდა. მომავალისათვის მიუცილებლად საჭიროა, მოვიპოვოთ სახსარი ამ საგნისათვის, რომ ცოტად მაინც დაჯილდოვდეს ამ გვარი შრომა მასწავლებლებისა.

მომდინარე სასწავლებო წლის დამდეგს მოხდა რამდენიმე ცვლილება ჩვენის სკოლის მასწავლებელთა და აღმზრდელთა შორის. უწინდელმა ინსპექტორმა, ვასილ რ. ყიფიანმა, თავი დაანება ინსპექტორობას ავადმყოფობისა გამო და მის მაგიერ მოწვეულ იქმნა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი, ალ. ბ. ჭიჭინაძე. სალმთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი დ. ჯანაშვილი სხვა სამსახურში დაინიშნა და გავიდა სკოლიდგან; ისავე ასრულებდა ეკონომის თანამდებობას. ჩვენს სასწავლებელში მის მაგიერ სალმთო სჯულის მასწავლებლად მოწვეულ იქმნა გ. ნ. იოსელიანი და ეკონომად ნ. თ. ბერიშვილი; გარდა ამისა მოწვეულ იქმნა ორი აღმზრდელი, შარშანდელების მაგიერ, და ოთხი ახალი მასწავლებელი: რუსულის ენისათვის მეორე გიმნაზიიდგან ბ. სლოვინსკი; ლათინურის და ბერძნულის ენისათვის სასულიერო სასწავლებლიდგან ბ-ნი პრიხოდინი და ორი მათემატიკის მასწავლებელი ბ-ნი ზურაბოვი და ხიდღელი. სულ ამ ჟამად სასწავლებელში მოსამსახურე მასწავლებელთ და აღმზრდელთა რიცხვი არის ოც-და-ორი (22):

ერთი ინსპექტორი (1),

19 მასწავლებელი,

ორი (2) აღმზრდელი (ამათგან 12 ქართველია, 8 რუსი, ერთი სომეხი და ერთი ებრაელი).

რადგან ინსპექტორის თანამდებობა ჩვენს სასწავლებელში ძლიერ რთულია (ინსპექტორი განაგებს ოთხს მოსამზადებელს კლასს, პროგიმნაზიას და პანსიონს), გამგე კომიტეტმა საჭიროდ დაინახა მომავალის ენკენისთვიდგან მოიწვიოს სწავლა-აღზრდის საქმეში გამოცდილი პირი, რომელმაც ინსპექტორს თანაშემწეობა უნდა გაუწიოს. იმისი მოვალეობა იქმნება სხვათა შორის სკოლის კანცელიარიის წარმოება და ბიბლიოთეკის გამგეობა.

# დეპეშა

21 მაისი

პეტერბურგი დღეს დაიბეჭდა განცხადება საურთიერთო და საადგილ-მამულო ნდობის საზოგადოებისა იმის თაობაზედ, რომ შეიცვალოს დღევანდელი 5% იანი ოქროს ფულის ანგარიშზედ გამოცემული გირავნობის ფურცელნი $4^1/_2$%-იან ამისთანავე ფურცლებად. ეს უკანასკნელნი ფურცელნი ყოველ შემთხვევაში იქმნებიან შეწყნარებულნი მთავრობის მიერ და განთავისუფლებულიცა ყოველ გვარის ბაჟისაგან. ამ შეცვლის საქმის მოყვანა სისრულეში მიენდო: საბანკირო სახლებს: „ძმათა როტშილდებისას“ პარიჟში, „მ. ა. როტშილდისას შვილებითურთ“ ფრანკფურტში, „ბლეიხრედერისას“ ბერლინში და პეტერბურგის ორს ბანკს „Международный“ და „Учетный“-ს. ამ ორმა ბანკმაც გამოაცხადა პირობანი კონვერსიისა. თითოეულს 5%-იანს ძველს ფურცელში პატრონს ეძლევა ახალი $4^1/_2$% იანი ფურცელი და ამას გარდა კიდევ ნაღდ ფულად 9 მან. და 55 კ. ქაღალდის ფულითა. 5%-იან ბილეთებს კონვერსიისათვის მიიღებენ მხოლოდ 22 ივნისამდე. რუსეთში საკონვერსიოდ შეიძლება ფურცლების წარდგენა სახელმწიფო ბანკის კანტორებში: ვარშავაში, კიევში, მოსკოვში, ოდესაში, რიგაში, როსტოვში და ხარკოვში.

მერვი. კერკის საბეგო მამულების განაპირად მცხოვრებმა ავღანელებმა შეჰკრეს 8 მაისს 14 წარჩინებული ბუხარელი მოხელე. ამ საქციელის მიზეზად ავღანელებმა ის დაასახელეს, რომ შეპყრობილმა მოხელეებმა არ იმოქმედეს ხალხზე და არ ჩააგონეს, რომ საერთო ძალით წინააღმდეგობა გაეწიათ რუსების მსვლელობისათვის კერკისაკენ. 12 მაისს ერთი რაზმი ჯარისა პოლკოვნიკის შჩორახოვის უფროსობით, სახელდობრ, თურკესტანის მე-17 ბატალიონი, ასი ასტარხანის ყაზახი და ერთი საარტილერიო ბატარეია კერკში დაბანაკდა. ეს რაზმი ჯარისა დიდის სიამოვნებით მიიღო ადგილობრივმა ხალხმა კერკის ბეგისა და ჩვენის სადიპლომატო ბუხარის აგენტის ჩარიკოვის მოთავეობით.

ამუ დარიის წყალი ძრიელ მოდიდდა.

**პეტერბურგის ბირჟა, 19-ს მაისს**

**ფ ა ს ე ბ ი:**

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 9 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | $174^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | 1 34 | — › |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — › | $265^1/_2$ |
| — მეორისა . . . . | — › | — › | 243 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — › | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მაისი 31 დღით არის.

**23 დღე შაბათი.** ღირს. მიხეილ ეპისკ. კათოლ. დეზიდერიისა და კრესცენციისა. მუსულ. მე-13 რიცხვი რამაზანის თვისა 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—30. მთვარე 14 დღისაა.

**24 დღე კვირა.** სულის წმ. მოსვლა. სვიმეონ მესვეტისა. სომეხ. სულის წმინდის მოსვლა. ალების ღამე ილიას მარხვისა. ფრანგ. სულის წმ. მოსვლა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11-58. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—3.

**25 დღე ორშაბათი.** მესამედ პოვნა თავისა წმ. იოანე ნათლის მცემლისა. კათოლ. გრიგორი მე-VII ურბანისა და არკადიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58 ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—2.

**26 დღე სამშაბათი.** წმ. მოციქ. კარპესი. კათოლ. ფილიპესი და ალიცისა. მუსულმან. მე-16 რიცხვი რამაზანის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. მე-16 დღე რამაზანის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—32, მთვარე 17 დღისაა.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით სამუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ'ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

ქალაქ ბათუმში

გაგზალის მახლობლად ახლად გაკეთებული

მებლიროვანი ოთახები

# „ვენეცია“

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში სიძვირე არის, მაქვს №№-ბი სუფთად მოწყობილი დღეში 50 კაპეიკიდამ $1^1/_2$ მანათამდე თთვეობით 10 მანათიდამ 30 მანათამდის. საჭმელებს ვაკეთებინებ, ვინც რას ისურვებს. უმორჩილესად ვსთხოვ საზოგადოებას ყურადღება მიაქციონ.

ოთახების პატრონი იოანე ლოლუა

(10—5)


ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეფ-ქესისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯღანუაშვილი, ერისთავისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფიელ ერისთვისა. | 1 | › |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფიელ ერისთვისა. . . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფიელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოხხუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 15 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 10 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | › | 25 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ. მახი. . . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი. ნ. ლომაურისა. . , . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 5 |
| მომღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | › |
| თხულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . , . | › | 30 |


# გილლესა და დიტრიხის

ქირარდოვოს მანუფაქტურების უმაღლესად დამტკიცებულ სააქციონერო საზოგადოების უმთავრესს საწყობ მაღაზიაში

მიღებულია დიდ-ძალი სხვა-და-სხვა გვარი

## პარუსინა და ყაჭის მატერია

კიტელებისათვის, სხვა-და-სხვა ფერის ტილოები ყმაწვილებისა და კაცების ქილეტკებისათვის, ხუფრები, ხალფეტკები, პირსახოცები. არის ხუფრები 6,12, 18 და 24 კაცისათვის. ჩულქები ყმაწვილებისა და ქალებისათვის, წინდები კაცებისათვის თეთრისა და კრემის ფერისა.

ამას გარდა მაღაზიაში ბევრ-გვარი პარუსინებია კარვებისა და ტილოს ტომრებისათვის, მზა-მზარეული ტილოს ტომრები, პარუსინები ბრეზენტებისათვის; მზა ბრეზენტები ყოველ-გვარის სიდიდისა.

ქალაქ გარეშე მცხოვრებელ ვაჭრებს სურვილისამებრ ნიმუშები გაეგზავნებათ.

ტფილისში: სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა ბანკისა.

ბაქოში: ოლგის ქუჩა, სახლი ბალაბეგ ლალაევისა.

დონნერი და ლეიტცი

(5—3)


Дозв. цен. Тиф. 22 мая 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე